ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29. 29261543**
თარიღი:**03/06/2026**

,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის N 29.292601420 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის'' 61-ე მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

მუხლი 1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის N 29.292601420 განკარგულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:
1) განკარგულების დანართის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,, მუხლი 2.

1.პროგრამით ისარგებლებენ სოციალური მუშაკის სკრინინგის ფორმის ან/და ბავშვისა და ოჯახის შეფასების (დასკვნის) მიხედვით , თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 2-დან 16 წლამდე ICD10 პროგრამის ვალიდური დიაგნოზის მქონე ბენეფიციარები , რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის მიხედვით 200 001 ქულამდეა.

1.1. განვითარების ზოგადი აშლილობა (F84-F84.9; F 80.9) ჯგუფის შემდეგი დიაგნოზები:

ა) F84 განვითარების ზოგადი აშლილობანი

ბ) F84.0 ბავშვთა აუტიზმი;

გ) F84.1 ატიპიური აუტიზმი;

დ) F84.2 რეტის სინდრომი;

ე) F84.3 ბავშვთა სხვა დეზინტეგრაციული აშლილობა;

ვ) F84.4 ჰიპერაქტიული აშლილობა თანმხლები გონებრივი ჩამორჩენილობით და სტერეოტიპული მოძრაობით;

ზ) F84.5 ასპერგერის სინდრომი;

თ) F84.8 განვითარების სხვა ზოგადი აშლილობანი;

ი) F84.9 განვითარების ზოგადი აშლილობა დაუზუსტებელი;

კ) F 80.9 დაუზუსტებელი მეტყველების განვითარების აშლილობა.

1.2. სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა (R 62.0; F 72.1; F78-F78.9) ჯგუფის შემდეგი დიაგნოზები:

ა) R 62.0 განვითარების ეტაპების დაყოვნება;

ბ) F 72.1 მძიმე გონებრივი ჩამორჩენილობა. არსებობს ქცევის მნიშვნელოვანი აშლილობა, რომელიც მოითხოვს ყურადღებას და მკურნალობას;

გ) F 78 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა

დ) F78.0 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. ქცევის აშლილობა არ არსებობს ან მინიმალურია;

ე) F78.1 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. არსებობს ქცევის მნიშვნელოვანი აშლილობა, რომელიც მოითხოვს ყურადღებას და მკურნალობას;

ვ) F78.8 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. სხვა ქცევითი აშლილობანი;

ზ) F78.9 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. განუსაზღვრელი ქცევითი აშლილობა."

2) განკარგულების დანართის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

მუხლი 3. პროგრამით სარგებლობისათვის ბენეფიციარის კანონიერმა წარმომადგენელმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) ბენეფიციარის დაბადების მოწმობა;

გ) ბენეფიციარის პირადობის მოწმობა/არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი;

დ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

ე)კანონიერი წარმომადგენლის არსებობის შემთხვევაში შესაბამისი დოკუმენტი;

ვ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა №IV–100/ა, რომელშიც მითითებილი იქნება პროგრამისათვის ვალიდური დიაგნოზები ICD10-ის მიხედვით (ADOS-2/LAP (ASQ-3)/ADI-R/WISC/WPPSI/WAIS ტესტირების შედეგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქულა 200 201-მდე)"

3) განკარგულების დანართის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,მუხლი 5.

1. ბენეფიციარი არასაპატიო მიზეზით მინიმალურზე ნაკლები რაოდენობის სეანსების მიღების შემთხვევაში იღებს მომსახურების შეწყვეტაზე წერილობით გაფრთხილებას, ხოლო განმეორებით შემთხვევაში, სერვისის მიმწოდებლის მიერ შეუწყდება ამ პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება. გამომდინარე აქედან, ჩატარებული სეანსების ანაზღაურება მოხდება სერვისის მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯის შესაბამისად.

2. პროგრამით სარგებლობის დროს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური ბენეფიციარზე სამედიცინო დაწესებულებაში წარსადგენად გასცემს ადმინისტრაციულ დაპირებას, რომლის გამოყენების ვადა განისაზღვრება გაცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით.

3. დაფინანსების გადარიცხვისთვის მიმწოდებელმა შესრულებული სამუშაო უნდა წარმოადგინოს რეაბილიტაცია/აბილიტაციის კურსის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური გამოსცემს მერის ბრძანების პროექტს.''

მუხლი 2.განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2026 წლის 01 აპრილიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სოსო ჩაფიჩაძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი